

ა. კეკელიძე

ქართულ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში

საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული კულტურის, საზოგადოდ, და მწერლობის, კერძოდ, ისტორიაში. ის „აღმოსავლური“ მიმართულება ჩვენი კულტურული ცხოვრებისა, რომელიც დღეს საკმაოდ გარკვეულია, სწორედ აქედან შემოდიოდა ქართლში. მახლობელ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ამ მიმართულებით საყურადღებოა სომხეთი, სირია, არაბეთი, განსაკუთრებით კი პალესტინა. ამ მოკლე ექსკურსში მინდა საგანგებოდ პალესტინაზე შევჩერდე.

მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული პალესტინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული კულტურული შემოქმედებისა საზღვარგარეთ; მეათე საუკუნემდე „საბას ლავრა“, ხოლო მეთერთმეტიდან „ჯუარის მონასტერი“—აი ორი მთავარი პუნქტი, სადაც ღვივოდა ნაპერწკალი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და სადაც ჩვენი წინაპრები ეცნობოდნენ მოწინავე კულტურის მიღწევებს საშუალო-საუკუნეთა მანძილზე. საყურადღებოა, რომ ამ კულტურულ საქმიანობასა და მოძრაობაში მამაკაცებს დედაკაცებიც არ ჩამორჩებოდნენ და ე. წ. „წმინდა ქვეყნის“ სხედასხვა პუნქტში ისინიც ქმნიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს.

ქართველ ქალთა მახლობელ-აღმოსავლეთში, კერძოდ პალესტინაში, მოღვაწეობის დასაწყისი ქრისტიანული ეპოქის შორეულ წარსულში უნდა ეძიოთ. ისეთი დიდი და ყოველგან ცნობილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: რომაელი ქალები მელანია უფროსი და უმცროსი (IV—V სს.), პავლა უფროსი და უმცროსი (V ს.), აგრეთვე ვასა (V ს.) და მარიამ (IV ს.) იერუსალიმელნი, ქართველ ქალებს არა მარტო მოღვაწეობის მისაბამ მაგალითებს აძლევდნენ, არამედ თავშესაფარსაც თავიანთ სავანეებში. ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ იქ საკუთარი ქართული ბაზა შეიქმნებოდა. ქართველი ქალების ამგვარი მოძრაობის შედეგებით ადრინდელი დასაწყისი დაედო, უეჭველია, საფუძვლად იმ ლეგენდას, რომლის მიხედვით ქართველთა განმანათლებელი ნინო იერუსალიმში იზრდებოდა დვინელ მთაფლმორთან. ვინც იცის, რამდენი საპატიო სახელი ჩაუნთქავეს ისტორიის წყვილადს, საიდანაც ისინი მეცნიერული მზის სინათლეზე გამოსვლას მოელონ!

პირველი ასეთი სახელი მეცხრე საუკუნეში იჩენს თავს. აღნიშნული საუკუნის მესამე ათეულში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები, „დიდებულთა აზნაურთა შეილნი“, არსენი და მაკარი (გადამწერი სინას მთის მღვდლის „მრავალთავისა“), რომელნიც იერუსალიმში მოღვაწეობდნენ, თავისი მოძღვრისადმი გამოგზავნილს, გულის ამჩუყებელ წერილში სწერენ მას: „მამაო. გვედია უფროსინე. დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყუარულისათჳს იკითხეთ და

ლოცვად და კურთხევად შენი მასცა მიჰფინეთ“¹ აქ, ექვი არაა, გამოთხოვილია მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა ვიღაც ეფროსინესათვის, რომელიც ნ. მარის სამართლიანი შენიშვნითაც, უნდა იყოს ერთ-ერთი იერუსალიმში მოღვაწე ქალთაგანი².

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ვილაპარაკოთ პალესტინის იმ კერების შესახებ, სადაც უძველეს საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ჩვენი დედები, ისტორიას ამის შესახებ არაფერი შემოუნახავს. გარკვეულად ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შესახებ პალესტინაში ლაპარაკი დოკუმენტებში მეთერთმეტე საუკუნიდან იწყება. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ არც ეს კერებია ყველა ცნობაში მოყვანილი და შესწავლილი. ამთავად მე მინდა შევჩერდე სამიოდე ასეთს კერაზე. რომელთა სახელებს პალესტინის ქართულ ხელნაწერთა „ანდერძებით“ ვეცნობით მხოლოდ.

I. კ ა პ კ ა თ ა

ეს სახელი მოხსენებულია პალესტინის ხუთ ქართულ ხელნაწერში, ესენია:

1. „თთუენი“, რომელიც 1820 წელს იერუსალიმიდან გამოუტანია ცნობილს გიორგი ავალიშვილს და 1841 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შეუძენია (სააზიო მუზეუმის ხელნაწერი № 124)³. ხელნაწერი, რომელსაც შემოუნახავს იანერის პიმნო-გრაფიული „თთუენი“, გიორგი ათონელის რედაქციისა, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისაა. მას 278—9 გვ. ჰქონდა აშიაზე შემდეგი მინაწერი აქვს: „დედოფლისა მართაჲს მონასტრისა. კაპკათისაჲ არს“⁴. აქედან არს, ვინცა გამოახუას“.

2. „მარხუანი“ ჯუარის მონასტრისა, გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი, რომელსაც პროფ. ა. ცაგარელი XI—XII ს. აკუთვნებდა⁵, ხოლო რ. ბლეიკი XII ს.⁶. ამ ხელნაწერს მეცამეტე საუკუნეში დართვია შემდეგი, ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის საყურადღებო, ანდერძი: „მე სულითა საწყალობელი, მიწაჲ უღირსი წმიდათა და პატიოსანთა მამათა ჯუარელთა ძმობისაჲ, გიორგი ღირსყო მოგებად წმიდათა ამათ მარხუათა დიდსა სიგლახაკესა შინა შემდგომად ტყუობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველი შემდგომითი შემდგომად მოგეთხრას: მაშინდელნი ყოველთა ქრისტიანეთა კირნი და განსაცდელნი, ოხრებანი ეკლესიათა და მონასტერთანი, რომელ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი. იერუსალმს შუკათა შინა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი: ერთი ესე და ერთი საწინაჲსწარმეტყუელო, სპარსსა კაცსა ჰქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლიე წაუხუშნ ესე, საწინაჲსწარმეტყუელო წარილო, მე სყიდვისა ღონე არა შქონდა. აწ მოვაჭსენე მასვე მონასტერსა კაპკათისსა, რომლისა პირველ ყოფილიყო. აწ გინა თუ კაპკათს შინა, გინა გარეთ სუტსა შინა, ანუ თუ ჯუარსავე შინა იყვნენ, ვინცა მიემთხვენთ და იმსახურებდეთ“.

3. სინას მთის „მოწამეთა წიგნი“, პროფ. ა. ცაგარელის აღწერილობით № 49⁷, ხოლო აკად. ნ. მარისა—№ 91⁸, შეიცავს ხუთი თვის, —სექტემბერი—იანვარი,—ჰაგიოგრა-

¹ ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. დ. 52—53, გამოცემა ნ. მარისა.

² იქვე, გვ. XVII. თქვა ავადგილის რუსული თარგმანიდან ისე გამოვიდა, თითქოს ეფროსინე საქართველოშია და არსენი და მაქარი უთვლიან მანმოკითხვას (იქვე, გვ. 135), მაგრამ თარგმანი ძალიან დაშორებულია დედანს.

³ აღნიშნული ხელნაწერი 1922 წელს საქართველოში იქნა დაბრუნებული; ის დღეს მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (H 2338). მოკლე ცნობა მის შესახებ პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ (Bulletin scientifique, t. VIII, № 20, p. 312, შენ. 12), ხოლო დაწვრილებით ის პროფ. ი. ყიფშიძემ აღწერა (იხ. მისი—)Житие и мученичество Антония Раваха, Христиан. Восток, II, 66—73.

⁴ Сведения о памятниках грузин. письменности II, № 77, стр. 26—27.

⁵ R. Blake, Catalogue d. Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque patriarcale à Jerusalem, № 67).

⁶ ხელნაწერში—„სადღესასწაულო“, რაც lapsus calami არის.

⁷ Сведения II, стр. 74.

⁸ Описание грузинских рукописей Синайского монастыря № 91, стр. 255—264.

ფულ ტექსტებს მეტაფრასული რედაქციისას. ამ ტექსტებიდან ერთი თარგმნილია თეო-
ფილე ხუცესმონაზონის მიერ¹, ორი—ეფრემ მცირის. მისი გადამწერი ყოფილა „ოქროპირი,
იოანე ანჩელის დისწული“. იოანე ანჩელი თანამედროვეა თამარ დედოფლისა². მაშა-
სადაშე, მისი დისწული ოქროპირი იქნებოდა მოღვაწე არაუგვიანეს XII—XIII სს., აქე-
დან—ხელნაწერი არ შეიძლება იყოს XV ს. (ნ. მარი), მით უმეტეს XIV—XVI ს. (ა. ცაგა-
რელი). ოქროპირი ანდერძში ამბობს: „მე ცოდვილსა დამიჩხრეკიან ამის სანატრელთა
დედოფალთა მართა და ბორენას აღშენებულისა და სამლოცველომსა მონასტრისა კაპკა-
თასა, სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთადასათჳს, სალოცავად ამისა მონასტრისა
აღმაშენებელთა დედოფალთათჳს“.

4. ჯუარის მონასტრის „პარაკლიტონი“, გიორგი ათონელის რედაქციისა, რომე-
ლიც, ა. ცაგარელის აღწერილობით³, XII—XIV საუკუნისაა, ბოლოში მოთავსებული
ანდერძის ცნობით, თავდაპირველად „კაპაპიერი იყო ეს წიგნი“, ესე იგი, ის ეკუთვნოდა
კაპათის მონასტერს, შემდეგში ჯუარის მონასტრისათვის შეუწირავთ.

5. ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული „თარგმანებაჲ მათეს სა-
ხარებისაჲ“ იოანე ოქროპირისა, რომელიც ა. ცაგარელს აღწერილი იქვს 135 ნომრის
ქვეშ, ხოლო ბლეიკს—21. ამ ხელნაწერში 332 ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია
ორი ანდერძი: ა) „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და
ძლიერებითა პატრიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა ესე წიგნი, „თარგმანი სა-
ხარებისაჲ“, კაპაპთური, წარტყუწნილი სპარსთაგან, მე ანტონი, ფრიადცოდვილმან, ვიჭ-
სენ ჩემითა საფასოჲთა და შევსწირე მუნვე კაპაპთას“ (ეს ანდერძი ა. ცაგარელს არ მოუ-
ყვანია, ალბათ ვერ შენიშნა). ბ) „ესე წიგნი ჯუარისაჲ მეფეჲსა მეფისა დავითის ცოდვითა
შესანდობელად მე მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიჯსენი სპარსთა-
გან მას ჟამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეჭირა“. მოყვანილი ანდერძებიდან
ჩანს, რომ ხელნაწერი ორი მონასტრის საკუთრებას შეადგენდა: კაპაპთისას (ა) და ჯუა-
რისას (ბ). ის ორჯერ გაუტაცნიათ „სპარსელებს“, ორჯერ გამოუსყიდიათ „ტყუეობიდან“
დამფლობელებისათვის დაუბრუნებიათ. ვის ეკუთვნოდა ის პირველად—კაპაპთას თუ ჯუარს,
ანდერძთა მიხედვით ძნელია თქმა. ყოველ შემთხვევაში ხელნაწერი ვერ იქნება ვერც
XIV—XV (ბლეიკი), ვერც XIV—XVI (ცაგარელი) საუკუნისა, რადგანაც ის დატყვევებული
და გამოსყიდული ყოფილა მეფეთ მეფის დავითის დროს „ოდეს ჯუარის მონასტერი
სპარსთა დაეჭირა“, ამას კი ადგილი ჰქონდა დავით მეექვსის დროს (1292—1310)⁴.

როგორც ვხედავთ, სახელი ამ მონასტრისა სხვადასხვანაირადაა მოცემული ხელნა-
წერებში: კაპკათი (1, 2), კაპაპთა (3), კაპაპი (4), კაპაპთა (5). ნამდვილი და სწორი ფორ-
მა ამ სახელისა არის, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, კაპკათა.

მონასტერი „კაპაპთა“ აშენებული ყოფილა მთავარანგელოზთა სახელზე (3). როდის?
ხელნაწერთა კატეგორიული ჩვენებით (1, 3), ის აშენებულია დედოფლების მართა და
ბორენას მიერ. ბორენა არის მეორე მეუღლე მეფის ბაგრატ IV-ისა, ის მეთერთმეტე
საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგიდან ისტორიის ასპარეზზე უკვე აღარ ჩანს. რაც
შეეხება მართას, ეს არის ასული ბაგრატისა და ბორენასი. 1071 წელს ის ცოლად შეირ-
თო ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილი დუკამ (1071—1078). როდესაც მიხეილი გარდა-

¹ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 252—6 (პირველი გამოცემა), 200—223 (მეორე გამოცემა).

² იქვე, გვ. 131 (პირველი გამოცემა), 299 (მეორე გამოცემა).

³ Сведения II, № 88, стр. 28.

⁴ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 588 (პირველი გამოცემა) 500 (მეორე გა-
მაცემა).

ფულ ტექსტებს მეტაფრასული რედაქციისას. ამ ტექსტებიდან ერთი თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ¹, ორი — ეფრემ მცირის. მისი გადამწერი ყოფილა „ოქროპირი, იოანე ანჩელის დისწული“. იოანე ანჩელი თანამედროვეა თამარ დედოფლისა². მაშასადამე, მისი დისწული ოქროპირი იქნებოდა მოღვაწე არაუგვიანეს XII—XIII სს., აქედან — ხელნაწერი არ შეიძლება იყოს XV ს. (ნ. მარი), მით უმეტეს XIV—XVI ს. (ა. ცაგარელი). ოქროპირი ანდერძში ამბობს: „მე ცოდვილსა დამიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენაჲს აღშენებულისა და სამლოცველოჲსა მონასტრისა კაპათაჲსა, სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთაჲსათჲს, სალოცავად ამისა მონასტრისა აღმაშენებელთა დედოფალთათჲს“.

4. ჯუარის მონასტრის „პარაკლიტონი“, გიორგი ათონელის რედაქციისა, რომელიც, ა. ცაგარელის აღწერილობით³, XII—XIV საუკუნისაა, ბოლოში მოთავსებული ანდერძის ცნობით, თავდაპირველად „კაპაპიერი იყო ეს წიგნი“, ესე იგი, ის ეკუთვნოდა კაპათის მონასტერს, შემდეგში ჯუარის მონასტრისათვის შეუწირავთ.

5. ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული „თარგმანებაჲ მათეს საბარებისაჲ“ იოანე ოქროპირისა, რომელიც ა. ცაგარელს აღწერილი აქვს 135 ნომრის ქვეშ, ხოლო ბლეიკს — 21. ამ ხელნაწერში 332 ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ორი ანდერძი: ა) „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და ჭიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა ესე წიგნი, „თარგმანი საბარებისაჲ“, კაპაპიური, წარტყუმნილი სპარსთაგან, მე ანტონი, ფრიადცოდვილმან, ვიჯჲნ ჩემითა საფასოჲთა და შეესწირე მუნვე კაპათას“ (ანდერძი ა. ცაგარელს არ მოუყვანია, ალბათ ვერ შენიშნა). ბ) „ესე წიგნი ჯუარისაჲ მუჟუნა მეფისა დავითის ცოდვითა ჰესანდობელად მე მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიგსენი სპარსთაგან მას ეამსა. ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეკირა“. მოყვანილი ანდერძებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი ორი მონასტრის საკუთრებას შეადგენდა: კაპათისას (ა) და ჯუარისას (ბ). ის ორჯერ გაუტაცნიათ „სპარსელებს“, ორჯერ გამოუსყიდიათ „ტყუეობიდან“ ამჟღავნებლისათვის დაუბრუნებიათ. ვის ეკუთვნოდა ის პირველად — კაპათას თუ ჯუარს, ანდერძთა მიხედვით ძნელია თქმა. ყოველ შემთხვევაში ხელნაწერი ვერ იქნება ვერც XIV—XV (ბლეიკი), ვერც XIV—XVI (ცაგარელი) საუკუნისა, რადგანაც ის დატყვევებული და გამოსყიდული ყოფილა მეფეთ მეფის დავითის დროს „ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეკირა“, ამას კი ადგილი ჰქონდა დავით მეექვსის დროს (1292—1310)⁴.

როგორც ვხედავთ, სახელი ამ მონასტრისა სხვადასხვანაირადია მოცემული ხელნაწერებში: კაპათი (1, 2), კაპათა (3), კაპაპი (4), კაპათა (5). ნამდვილი და სწორი ფორმა ამ სახელისა არის, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, კაპათა.

მონასტერი „კაპათა“ აშენებული ყოფილა მთავარანგელოზთა სახელზე (3). როდის? ხელნაწერთა კატეგორიული ჩვენებით (1, 3), ის აშენებულია დედოფლების მართა და ორენას მიერ. ბორენა არის მეორე მეუღლე მეფის ბაგრატ IV-ისა, ის მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგიდან ისტორიის ასპარეზზე უკვე აღარ ჩანს. რაც ეხება მართას, ეს არის ისული ბაგრატისა და ბორენასი. 1071 წელს ის ცოლად შეირთო ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ დუკამ (1071—1078). როდესაც მიხეილ გარდა-

¹ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 252—6 (პირველი გამოცემა), 200—223 (მეორე გამოცემა).

² იქვე, გვ. 131 (პირველი გამოცემა), 299 (მეორე გამოცემა).

³ Сведения II, № 88, стр. 28.

⁴ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 588 (პირველი გამოცემა) 500 (მეორე გამოცემა).

იცვალა, 1078 წელს მართა მისთხოვდა ნიკოფორე ბოტანიატს (1078—1081). ნიკოფორეს დამხობის შემდეგ ის ცხოვრობდა თავის სასახლეში კონსტანტინოპოლში, მანგანის მონასტერთან, და 1088 წლის მახლობლად მოლოზნად აღიკვეცა მარიამის სახელით. 1093 წელს ის ჯერ კონსტანტინოპოლშია და კომნენთა წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს¹. ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა და 1103 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია, ვინაიდან რუისურბნისის კრება მას „მრავალეამიერს“ ეუბნება². მონასტერი აშენებული უნდა იყოს არაუგვიანეს ოთხმოციანი წლების დასაწყისისა, როდესაც ბორენა გარდაცვლილად ჩანს, და არაუადრეს 1071 წლისა, როდესაც მართა გადედოფლდა, საფიქრებელია, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან ანდერძში პირველად დასახელებულია არა დედა, ყოფილი დედოფალი, ქვრივი ბორენა, არამედ შვილი მისი მართა, როგორც იმპერატრიცა დიდი ბიზანტიისა.

არც სახელი ამ მონასტრისა, არც ადგილმდებარეობა მისი მეცნიერებაში გარკვეული არაა. პროფ. ა. ცაგარლის განცხადებით, მისი ადგილმდებარეობა უცნობია³; აკად. ნ. მარი ფიქრობდა, რომ „კაპპათა“ არის სახელი ადგილისა, რომელიც, ალბათ, იერუსალიმის ნაწილს შეადგენდაო⁴, ხოლო პროფ. ი. ყიფშიძე ამბობდა: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონასტერი იმყოფებოდა იერუსალიმში ანდა მის მახლობლად“⁵. მონასტერი, ეკვი არაა, იერუსალიმში იყო, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, იერუსალიმში არაერთი ქართული მონასტერი ყოფილა, საძიებელია — თუ დასახელებული ქალაქის რომელ ნაწილში და სად იმყოფებოდა ის?

არავის მკვლევართაგანს აზრად არ მოსვლია ამ შემთხვევაში გადაეკითხა ქართული „ოთხთაეის“ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იესო ნაზარეტელის გასამართლებისა და კრძოდ მისი პილატეს მიერ დაკითხვის შესახებ. იესო ქრისტე მიიყვანეს „ტაძრად (πατρις) პილატისა“ (იოან. XVIII, 28), „ხოლო პილატე... გამოგუარა იესოჲ გარს და დაჯდა საყდარსა მას ზედა, ადგილსა მას, რომელსა ერქოჲმის ქვაფენილ, რომელ არს ებრაელებრ კაპპათა“ (იოან. XIX, 13), ასეა ნათქვამი უძველესს ჰაღიშის „ოთხთაეში“, ხოლო გიორგი ათონელის თარგმანში: „ხოლო პილატე... გამოიყვანა იესო გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა“.

ჯერ მოკლე შენიშვნა ტექსტუალური ხასიათისა. სიტყვები „ადგილსა მას, რომელსა ერქოჲმის (ჰრქჳან) ქვაფენილ, რომელ არს ებრაელებრ (ხოლო ებრაელებრ) კაპპათა“, ბერძნულად ასე იკითხება: „εἰς τὸ πρὸς λεγόμενον λιθόπεδον, Ἐκράχθη: ἐν τῷ Γαββათ“. ასევე იკითხება ისინი ბერძნულიდან უშუალოდ მომდინარე თარგმანებში, მაგალითად სლავურში: „на месте, глаголемое лиостротон, еврейски же Гавваа“. აქ, როგორც ვხედავთ. უცვლელად შემონახულია როგორც ბერძნული Λιθόπεδον, ისე ფორმა სახელისა Γαββათ. ქართული თარგმანი ამ ადგილისა არ მომდინარეობს უშუალოდ ბერძნულიდან, ბერძნულ Λιθόπεδον-ს იმაში უდრის მისი თარგმანი „ქვაფენილი“, ხოლო Γαββათ გადმოცემულია როგორც კაპპათა. ეს თარგმანი ან რედაქცია, რომელიც ძირითადად, ყოველ შემთხვევაში საძიებელი სიტყვების ხაზით, უცვლელადაა დატოვებული თვით ბერძნულთან შეგერებულს ათონის ვულგატურ ტექსტში, შემცველი და მატარებელია აღმოსავლური ტრადიციისა. მაგალითად, აღნიშნული ადგილი სომხურადაც ისევეა გადმოცემული, როგორც ქართულად: *Քարայտոսի կապպատ*. საყურადღებოა სირიული ვერსია ამ

¹ Акад. В. Г. Васильевский, Труды, I, 139—143, 1908.

² თ. ჯორდანია, ქრონიკები II, 70.

³ Памятники грузин. старин в Св. Земле и на Синае, Палестинский сборник. т. IV, в. 1, стр. 130.

⁴ Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г., Сообщ. Палестин. Общества, т. XIV, ч. 2, стр. 45.

⁵ Житие и муче = шество Антония Раваха, Христианский Восток, II, 71, прим. 3.

ადგილისა¹: ბერძნული *λειτουργία* აქ, მსგავსად სომხურისა და ქართულისა, გადმოთარგმნილია ასე: „რეკიტთა დე ქნფე“ (მოფენილი ქვა), ხოლო *Γαββამ* „გეფნფთე“. ქართულ-სომხური „კაპპათა“ უფრო ბერძნულის გადმოთარგმნებაა, ვიდრე სირიული „გეფნფთე“-სი. როგორც უნდა იყოს, ქართული თარგმანი ამ შემთხვევაში უფრო სომხურს ენათესავება, ვიდრე სირიულს ან ბერძნულს. ერთი სიტყვით, ირკვევა, რომ მონასტერი *კაპპათა* ყოფილა პილატეს სასახლის, სხვანაირად „ეზოჲს“ ან „ტადრის“ („შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტადარი = *ἔσθαι τῆς ἀσκήσεως*, *მარკ. XV, 16*), ბერძნულად — პრეტორიონის, ადგილას.

პრეტორიონის ტოპოგრაფია დღეს უკვე გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში: ის ყოფილა სიონის მთაზე, სიონის ბაზილიკიდან 150 ნაბიჯით დაშორებული. მის ადგილას იუსტინიანე დიდს მეექვსე საუკუნეში აუშენებია ღვთისმშობლის „ახალი“ (ქართულ ძეგლებში ის შემონახულია ბერძნული სახელწოდებით: *νία — νῆα*) ეკლესია, „წმინდა სოფიოდ“ — აც სახელდებული. ამას ადასტურებენ როგორც ძველი დროის მოგზაურები, ისე განსაკუთრებით ლიტურგიკული ძეგლები ბერძნულსა და ქართულ ენებზე. მეათე საუკუნის ბერძნულ „ტიპიკონში“ ნათქვამია: *ἐν τῇ ἐκκλῆσιᾳ τῇ ἐν τῇ λειοταπεινῇ, ἥ ἐστὶν ἡ ἐκκλῆσις τῆς ἁγίας σοφίας* — „ლიტანია წმიდა სოფიაში ლითოსტროტონზე“². ჩვენს მიერ გამოცემულ „იერუსალიმის განჩინებაში“ ვკითხულობთ: „მოვიდენ სოფია-წმიდას, სადა იგი იყო სახლი პილატისა“³.

სომეხთა ისტორიკოსი მოსე კალანკატვაცი, სიონის ბაზილიკის აღწერისას, შენიშნავს: „წმიდა სიონი (იმყოფება) მარჯვნივ პილატეს სახლისა (*ἡ οἰκία*), რომელსაც კაპპათა *καπαπαθ* (ეწოდება)“⁴. ამას ეთანხმება მეცხრე საუკუნის მოგზაურის ეპიფანეს ცნობა: *ἐν τῇ ἐκκλῆσιᾳ τῇ ἐν τῇ λειοταπεινῇ, ἥ ἐστὶν ἡ ἐκκλῆσις τῆς ἁγίας σοφίας* — „ლითოსტროტონის მარჯვნივ არის წმინდა სიონი“⁵. ანტონინე მარტვირი, რომელმაც 570 წლის მახლობლად იერუსალიმი მოინახულა, თავის „მოგზაურობაში“ გადმოგვცემს: „De Sion venimus in basilicam sancte Marie, ubi est congregatio magna monachorum, ubi sunt et xenodochia virorum ac mulierum, — susceptas peregrinus sum, — mense innumerabiles, lecti egrotarum sunt amplius tria millia“⁶, რაც ნიშნავს: „სიონიდან ჩვენ მივედით წმიდა მარიამის ბაზილიკაში. სადაც არის ბერმონაზონთა დიდი კრებული [= მონასტერი] და მოწყობილია სამწიროები (სასტუმროები) მამაკაცთა და დედაკაცთათვის, — მე მიმიღეს როგორც მოგზაური, — არის აგრეთვე ურიცხვი მაგიდები, ხოლო ლოგინები — სამათასზე მეტ ავადმყოფთათვის“.

სოფია-წმიდის ბაზილიკა, ზოგიერთ მეცნიერთა (ფერგიუსონი, ებერსი, გუტე, კინგი) მოსაზრებით, იმ მიზნითაღ გადაკეთებულა, რომელსაც ეწოდება ელ-აკსა, ეს გადაკეთება თითქმის მერვე საუკუნეში მომხდარა⁷.

მეორე რიგი სპეციალისტებისა (ვილიამსი, პაილუ, ა. ალენიციკი, ნ. კონდაკოვი) კა-

¹ ცნობა სირიული ტექსტის შესახებ მომწოდა დოკ. გიორგი წერეთელმა, რომელსაც მადლობას ვუთხურობ.

² А. П. — Керамевс, *Λειτουργία IV*, 130; Проф. А. Дмитриевский, *Богослужение страстной и пасхальной седмиц*, стр. 134.

³ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII в.*, стр. 78, 134, 214—215.

⁴ აღვანთა ისტორია, მოსკოვი 1860 წ., გვ. 225. შესაფერისი ადგილი მოსეს ისტორიისა, როგორც ფიქრობენ, ამოღებული უნდა იყოს მეშვიდე საუკუნის აღწერილობიდან, რომელიც ვილაც ანასტასის ეკუთვნის (В. Г. Васильевский, *Повесть. Епифания, Палест. Сбор. т. IV, в. 2*, стр. 249—252, განსაკ. 251.

⁵ В. Г. Васильевский, *op. cit.*, стр. 2.

⁶ Tobler, *Itinera Hierosolymitana et descriptiones terrae sanctae*, t. I, p. 104—105.

⁷ Проф. А. Дмитриевский, *Богослужение страстной и пасхальной седмиц*, стр. 388—389.

ტეგორიულად უარყოფს ელ-აქის წარმოშობას სოფია-წმიდის ბაზილიკიდან¹. მიუღებელი და შეუწყნარებელია ის მოსაზრება, რომ სოფია-წმიდის ბაზილიკა, როგორც ქრისტიანული ტაძარი, მერვე საუკუნეში მოისპო. საქმე ისაა, რომ ის მოხსენებულია 808 წელს შედგენილს თხზულებაში „Commemoratorium de cassis Dei vel monasteriis“², მოხსენებულია ის, როგორც ზემოთა და დინახეთ, მეათე საუკუნის პირველი ნახევრის ბერძნულ „ტიპიკონში“, იმას იხსენიებს ამ საუკუნის მეორე ნახევარში სინას მთის მოღვაწის იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი „იერუსალიმის განჩინების“ ქართული თარგმანი. და თუ მეათე საუკუნის შემდეგ იმისი კვალი არცერთ ძეგლში უკვე აღარ ჩანს, ალბათ იმიტომ, რომ ის დაინგრა და მოისპო 1009—1010 წ., როდესაც ეგვიპტის სულტანმა ჰაკიმმა ყველაფერი გაავერანა იერუსალიმში, იქამდე, რომ წინააღმდეგობის არქიტექტურულად ღირს შესანიშნავი ქრისტიანული ნაგებობიდან ქვა ქვაზე არ დარჩენილა იქ. ცხადია, ბაზილიკასთან ერთად დაინგრევოდა როგორც მონასტერი, ისე სამწიროები, რომელთა შესახებ ანტონინე მარტვირი ლაპარაკობს.

ანტონინეს მოწმობა გასაღებს გვაძლევს ერთი ქართული ცნობის გასაგებად. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შორის ცნობილია 1167 წელს ვინმე ონოფრეს მიერ გადაწერილი „პარაკლიტონი“, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „შევსწირე იერუსალიმს პატიოსანსა დედათა მონასტერსა ახალსა, რომელი იცვალნეს (?) პიტალთაგან ძუშლისა სამწიროსა“³. ეს „ახალი დედათა მონასტერი“ უნდა იყოს იგივე კაპპათის მონასტერი. საქმე ისაა, რომ სიტყვები „ძუშლი სამწირო“, უეჭველია, გულისხმობს იმ „სამწიროს“, სასტუმროს (Xenodochium), მოგზაურების, პილიგრამების მისაღებ სახლს, რომელიც, ანტონინე მარტვირის სიტყვით, სოფია-წმიდასთან არსებულ კაპპათას მონასტერში ყოფილა.

მეთერთმეტე საუკუნეში, საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებასთან ერთად, იწყება ინტენსიური ქართული სამონასტრო მშენებლობა პალესტინაში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში გაშენდა აქ ჯვარის მონასტერი ბაგრატ IV-ის დედის მარიამის უხეი დახმარებით; ამავე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბაგრატიანთა მეუღლესა და ასულს, ჩანს, ძველი კაპპათას მონასტერი, ჰაკიმის მიერ დანგრეული 1009—1010 წელს, გადაუკეთებიათ დედათა მონასტრად და სააღმშენებლო მასალად გამოუყენებიათ ძველი მონასტრისა და „სამწიროს“ პიტალი (πύλαρι?)⁴ ან ფითალი ქვა. ასე უნდა გავიგოთ სიტყვები: „რომელი იცვალნეს (sic) პიტალთაგან ძუშლისა სამწიროსა“. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ძველი ნამონასტრალიდან გადაკეთებულ კაპპათის მონასტერს „დედათა ახალი მონასტერი“ დარქმევია.

საყურადღებოა, რომ კაპპათაში მწიგნობრობას, წიგნების გადაწერასა და მოპოებას მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონია დათმობილი. იანვრის ჰიმნოგრაფიული „თთუენი“ (1), როგორც ანდერძშია ნათქვამი, მის საკუთრებას შეადგენდა. ვილაც გიორგის ხეარაზმელთა ტყვეობიდან გამოუყიდა „მარხუანი“ (2), რომელიც მას კაპპათას მონასტრისათვის „მოუტყენებია“ ან შეუწირავს, „რომლისაჲ იგი პირველ ყოფილიყო“, მისივე ყოფილა „სახარების თარგმანი“, რომელიც, ტყვეობიდან გამოსყიდვის შემდეგ, დაუბრუნებია მისთვის ვინმე ანტონის (5). ერთ-ერთი „პარაკლისტონი“ (4) თავდაპირველად „კაპპაიერი“ იყო, ესე იგი კაპპათას საკუთრებას შეადგენდა. მისთვის შეუწირავს ვინმე ონოფრეს მეორე

¹ Проф. А. О л е с в и ц к и й, Ветхозаветный храм в Иерусалиме, 1889 г. Акад. Н. Кондаков, Иерусалим христианский, Богословская Энциклопедия, т. VI, стр. 554—555.

² Itinera latina I, 302.

³ А. Ц а г а р е ლ ი, Сведения II, 28, № 86, R. B l a k e № 63; ხელნაწერში ვკითხულობთ: სამწიროესა.

⁴ შეად. გიორგი ამარტოლის „ბრონოგრაფის“ თარგმანი, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 86, 308: „პეტლითა ოქროსაჲთა“, „ოქროსა პეტლითა“.

„პარაკლისტონი“¹. ძალიან დიდი სამსახური გაუწევია ამ მხრივ კაპპათასთესის იოანე ანჩელის დისწულს ოქროპირს (3), რომელსაც მისთვის „დაუჩხრეკია“ ან გადაუწერია 14 სახელწოდების თხზულება 27 წიგნად: 1. „თერთმეტი თთუე, დეკემბერი არა ჩემი დაწერილი არს“, აქ იგულისხმება მთელი კომპლექტი ჰიმნოგრაფიული „თთუენისა“, თორმეტ წიგნად; ამ თორმეტი წიგნიდან არის, უეჭველია, იანერის „თთუენი“ (1), რომელშიაც აღნიშნულია, რომ ის კაპპათას საკუთრებას შეადგენს, 2. „სახარება განთჳსული“, ესე იგი—არა აღრეული აპრაკოსებრ, არამედ ცალკე ავტორებად წარმოდგენილი, 3. „პავლე“, ესე იგი—სამოციქულო, 4. „საწინააღმართებულო“, 5. „დავითნი განყოფილნი“, ესე იგი „კანონებად“ დაყოფილი, 6. „სტოდელი“, 7. „ქურთხევანი“, 8. „ორივე პარაკლიტონი: წანი და გუერდნი“, 9. „მარხუათა მკჳაფრასი“, 10. „სხუა მცირე მეტაფრასი სამოწმოჲ“, 11. „ღმრთისმშობლის ცხოვრება“, 12. „დიდი სჯნაქსარი“ გიორგი ათონელისა, 13. „სახარებისა მათეს თარგმანი ორ წიგნად“, 14. „მოწამეთა წიგნი“ მეტაფრასული რედაქციისა². დღეს, მაშასადამე, ვიცით ოცდათერთმეტამდე წიგნი, რომელთაც „კაპაპიერი“ შეგვიძლია ვუწოდოთ, ეს ერთი უმნიშვნელო ნაწილია იმ წიგნთსაცავისა, რომელსაც ხან სერაპიმელები იტაცებდნენ, ხან სხვა დამპყრობელნი აღმოსავლეთისა, გინა თუ დასავლეთისა ჯვაროსანთა სახით, ანდა „ყამთა სიავე“ უღმობლად ანადგურებდა.

აღნიშნული თხზულებები უმთავრესად ათონური რედაქციისაა. ეს გარემოება დამახასიათებელია იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არსებობდა პალესტინისა და ათონის საგანმანათლებლო ცენტრებს შორის: პალესტინის ცენტრები მეთერთმეტე საუკუნიდან წარმოადგენენ ათონის თავისებურ ფილიალს. სადაც გადაწერის გზით ამრავლებდნენ ათონის სკოლიდან გამოსულ შრომებს.

II. დ ე ლ ტ ა ვ ი

ასეთი მონასტერი მოხსენებულია იერუსალიმის ერთს ქართულ ხელნაწერში, რომელიც დღეს საპატრიარქო ბიბლიოთეკაშია მოთავსებული. ის პირველად აღწერა აკად. ნ. მარმა 26 ნომრის ქვეშ³, ხოლო მეორედ პროფ. რ. ბლეიკმა 33 ნომრის ქვეშ⁴. ხელნაწერი, რომელიც, ბლეიკის ცნობით, XIII—XIV საუკუნისაა, შეიცავს ათონური რედაქციის ტექსტებთან ერთად ორს წინათონურ პერიოდში თარგმნილ თხზულებას: 1. „წარტყუენვაჲ იერუსალმისაჲ“ ანტიოქე სტრატეგისა⁵ და 2. „ცხოვრებაჲ სჳმეონ მესუგისაჲ“⁶. კვირიკე და ივლიტეს მარტვილობის ბოლოში ვკითხულობთ: „დელტაველთა დათა ყოველთა შეუნდვენ უფალო! დაიწერა საფასოდათ⁷ მათითა. მეცა მომიჯსენეთ ცოდვილი ბასილი მჩხრეკელი“ (ფ. 197 b). აქედან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი გადაუწერია დელტაველთა მონასტრის „დათა“ ან მოლოზნების საფასით ვილაც ბასილს. სვიმეონ მესუგის „ცხოვრების“ ბოლოში შემდეგი „ანდერძია“: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა ცხოველსყოფელისა საფლავისაჲთა მე, ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტრომსა ასული, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისა სჳმეონის ცხოვრებისა. აწ წმიდათა მენელსაცხებელთა სწორნო დანო დელტალველნო! ქრისტეს სიუჟარულისათჳს ვინცა ღირს იქმნეთ წარკითხვად წმიდისა ამის ცხოვრებისა სჳმეონისა, სულთა და ჯორცთა განმანათლებელისა, თქუთ წმიდათა პირითა თქუენითა მოტეეებაჲ ცოდ-

¹ ა. ცაგარლით № 86, რ. ბლეიკით № 63.

² Акад. Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, стр. 264.

³ Плениение Иерусалима персами, стр. 62—64.

⁴ Catalogue des manuscrits Géorgiens, p. 68—69.

⁵ Плениение Иерусалима персами, გამოც. ნ. მარისა.

⁶ К. Кекелидзе, Monumenta hagiographica Georgica I, 215—340.

⁷ ხელნაწერში „საფაღსოდათ“.

ვათა ჩემთაჲ და თქუენ ყოველთა მკითხველთა და მსმენელთა ქრისტემან მადლი მოგანიქენ, ამინ. ეკატერინეს შეუნიდენ უფალო, თქუთ ყოველთა ამინი“!

„დანო პატიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი სადთური, უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით“ (ფ. 324 ა—ბ).

„დედათა“ ან ქალთა მონასტერი, რომელსაც ბასილი „დელტაველთა“ მონასტერს უწოდებს, ხოლო ეკატერინე, შტრომს ასული, „დელტალეველთა“-ს, ცნობილი არაა. აკად. ნ. მარის სიტყვით, რომელმაც ამ ხელნაწერით გამოსცა „წარტყუენვაჲ იერუსალშმისაჲ“, აღნიშნული მონასტრის სადაურობა „не поддается определению и в том случае, если в «де.т» признати искажение арабского der -монастырь“¹. ერთი კია, რომ ის საძიებელია პალესტინაში; თუ მხედველობაში გვექნება „ანდერძის“ სიტყვები: „მეოხებითა ცხოველსმყოფელისა საფლავისაჲთა“, რომელნიც ქრისტეს საფლავს გულისხმობენ იერუსალიმში, მონასტერიც იერუსალიმის რომელღაც ნაწილში უნდა ვივარაუდოთ.

საყურადღებოა, რომ ამ მონასტერში მცხოვრები მოღვაწეები დაინტერესებულნი ყოფილან ლიტერატურული ძეგლების გადაწერით და შეძენით. ეკატერინე, შტრომს ასული, რომლის შესახებ არაფერი ვიცით, ალბათ წინამძღვარი მონასტრისა, პირდაპირ ამბობს: „ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისა სჯემონის ცხოვრებისა“. მართალია, ეკატერინე, ამ სიტყვების მიხედვით, ვერ ჩაითვლება „გადამწერად“ დასახელებულ თხზულებისა, როგორც ნ. მარს ეგონა², გადამწერი მისი, როგორც რამდენჯერმეა აღნიშნული „ანდერძში“, არის ვინმე ბასილი, მაგრამ მას სურვილი ჰქონია ამ თხზულების შეძენისა და შეუკვეთია გადაწერა ბასილისათვის; როდესაც მან წიგნი მიიღო ბასილისაგან, მას შეეძლო ეთქვა: „ღირს ვიქმენ აღწერად“ ამისაო. ეკატერინესთან ერთად ამ ძეგლით დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე ერთი „დაჲ“ აღნიშნული მონასტრისა, ვინმე ბარბარე, როგორც ეს ნათქვამია ანდრია სალოსის „ცხოვრების“ სათაურში (ფ. 325). მეორე მხრით, ამავე ხელნაწერის „ანდერძიდან“ ვტყობილობთ, რომ „დელტაველნი დანი“ მწიგნობართა კადრების მომზადებისათვისაც ზრუნავდნენ, გადამწერი ხელნაწერისა ბასილი ამბობს: „დანო პატიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი“. ეს ბასილი აღნიშნულ მონასტერში ალბათ ბავშვობისას იზრდებოდა, ხელნაწერის გადაწერისას ის, რასაკვირველია, ცხოვრობდა არა იქ, ქალების მონასტერში, არამედ მამათა რომელიღაც სავანეში. თავის თავს ბასილი „სადთურს“ უწოდებს; აქ უნდა გვქონდეს პალესტინის ერთ-ერთი პუნქტი, რომელსაც „საიდა“ ან „საიდი“ ერქვა, შეიძლება ბეთ-საიდა (მთ. XI, 21, მრკ. VI, 45, VIII, 22, ლუკ. IX, 10, X, 13, იოან. I, 45).

III. დ ე რ თ უ ჳ ა

ამ სავანის არსებობის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ერთ-ერთი ხელნაწერიდან (№ 181, შიგნი 353), რომელიც ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილს მაკარი მეგვიპტელის „ეპისტოლეთა“ და „სწავლათა“ წიგნს³ შეიცავს. ამ ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, პირველ ფურცელზე მეტად ორიგინალური, ნახევრად ხუცური და ნახევრად მხედრული ხელით სწერია: „წმინდაო დედუფალო დაბადებულთაო, რომელმან [გვი]შევ ქრისტე ღმერთი ჩუენი! ესე შესაწირავი მცირედი და უნდოჲ მსახურებაჲ, ჩემ გლახაკისა და ცოდვილისაგან მიითუალე და შეიწყალე სული ჩემი ცოდვილი და ყოველნი, რომელნი იმსახურებდენ ამათ წმიდათა საკით-

¹ Плетение Иерусалима персами в 614 году, стр. 63, прим. 1.

² Ibid., стр. 64, прим. 2.

³ ქ. ქეკელიძე, ქართულ ლიტერატურის ისტორია, განოცემა პირველი, გვ. 202, მეორე—გვ. 180

ხეთა“. ვინ არის ეს „გლახაკი და ცოდვილი“ შემწირველი, მკლავნდება შემდეგი ორი „ანდერძიდან“: 1. „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და შეწევნითა ყოველთა წმიდათა მისთაჲთა მე, გლახაკი სულითა და ფრიად ცოდვილი და ნარჩევი ყოველთა მოწესეთა, გრიგოლ ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა მაქარის ებისტოლეთა და სარწმუნოებით შევსწირენ ღმრთისა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა დარსა დერთუფას ნი[ა]ფორობასა თებრონიადსსა, ასულისა ვაჩე მცუელისსა, -ადიდენ ღმერთმან წმიდაჲ და უბიწოჲ სული მათი აქა და უმეტეს საუკუნესა, სალოცავად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან ქრისტეს-მსახურნი მას დარსა შინა, მოსაგსენებელად სულისა ჩემისა ცოდვილისა, მშობელთა და ძმათა და ყოველთა თჳსთა ჩემთა და ყოველთა შემოვედრებულთა და მოწაფეთა და შეილთა ჩემთა სულიერთა. და აწ ცრემლით გვევდრები, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა. წმიდათა ღოცვათა შინა თქუენთა მოგვკსენენით“ (ფ. 2). 2, წიგნის ბოლოს (ფურც. 256) ეკითხულობთ: „დიდებაჲ ღმერთსა, მიზეზსა და მომცემელსა ყოველისა კეთილისასა. დაესრულა და დაიწერნეს ებისტოლენი ახალთარგმნილნი წმიდისა მამისა მაქარი მეგვპტელისანი კელითა უღირსისა გრიგოლისითა ლავრასა წმიდისა მამისა ხარიტონისსა. წმიდანო მამანო, რომელნი იკითხვიდეთ, ღოცვა ყავთ ღმრთეს!“

ამ „ანდერძებიდან“ ვტყობილობთ, რომ გადამწერი და შემწირველი ხელნაწერისა ყოფილა „მოწესე“ ან ბერი (1) გრიგოლი (1, 2.). ვინაჲ ეს გრიგოლი, არ ვიცით, შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ის არის მოღვაწე არაუგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა. ეს ჩანს არა მარტო მის მიერ გადაწერილი თხზულების ხელიდან, არამედ იმისგანაც, რომ თხზულებას ეწოდება „ახალთარგმნილი“ (2), რაც მაჩვენებელია იმისა, რომ დიდიხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ექვთიმე ათონელმა ის თარგმნა, ექვთიმემ კი ეს თხზულება გადმოიღო ათონზე, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, მაშასადამე, 985-1005 წლებში. ეს მოსაზრება უფრო ნათელი გახდება, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი გვექნება გრიგოლის მოღვაწეობის ადგილის შესახებ.

თავისი შრომა გრიგოლს შეუწირავს „სალოცავად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა“ (1), ესე იგი დედათა ან ქალთა მონასტრისათვის. იმ დროს მონასტერში „ნიაფორად“ ყოფილა ვინმე თებრონია, ვაჩე მცუელის ასული, დღეს ჩვენთვის სრულიად უცნობი პიროვნება. სიტყვა „ნიაფორი“ გვხვდება ნინოს „ცხოვრების“ ქელიშურ რედაქციაში; იქ ნათქვამია, რომ სუსანა, დედა ნინოსი, გათხოვებამდე იზრდებოდა იერუსალიმში და „მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა“¹. ცნობილი არმენისტის F. C. Conybeare-ს გამოკვლევით „ნიაფორი“ არის სირიული სიტყვა, წარმომდგარი ბერძნული νῆαφος-იდან, სირიულ ნიადაგზე ორი ასოს კ და ფ ერთმანეთში აღრევის გამო. ის ნიშნავს ტაძრის ზედამხედველს, იმაში წესის დამცველს². მაშასადამე, თებრონია მაშინ ყოფილა წინამძღვარი ქართველთა „დედათა მონასტრისა“, რომლისათვისაც გრიგოლს თავისი შრომა შეუწირავს.

ამ „დედათა“ მონასტრის ტაძარი აგებული ყოფილა ღვთისმშობლის სახელზე, ხოლო თვით მონასტერს რქმევია „დერთუფა“ (1). შეიძლება გვეფიქრნა, რომ ამ სახელ-

¹ Oniscanne II, 736, შეად. 741, 744, შატბერდულ ვარიანტში „ნიაფორი“ (იქვე).

² Life of st. Nino. Studia biblica et ecclesiastica, Oxford, 1900. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 579 შენ. 2 (პირველი გამოცემა), 492 (მეორე გამოცემა).

ში გვაქვს ორი ნაწილი: არაბული „დერ“, რაც „მონასტერს ნიშნავს¹, და „თუფა“ — საკუთარი სახელი. მაგრამ ასეთს მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სიტყვა „მონასტერი“ ამ „ანდერძში“ (1) ისედაც არის აღნიშნული, მხოლოდ სირიული ფორმით „დარ“: „შევსწირენ ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა დარსა დერთუფას“, „საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან მას დარსა შინა“. თუ გრიგოლი მეტერთმეტე საუკუნის ნახევარში ამ მონასტერს წიგნსა სწირავს, მაშასადამე, ამ დროს ის უკვე არსებობს.

სად იყო ეს მონასტერი, პალესტინაში თუ სხვაგან სადმე? ასეთი საკითხი ბუნებრივია, რადგანაც არაერთი ცნობა ამგვარი მონასტრის არსებობის შესახებ არ მოიპოვება არც ქართულს, არც უცხოურ ლიტერატურაში. მონასტერი უთუოდ პალესტინაშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ შემწირველი გრიგოლი ამბობს, რომ მაქარის „ეპისტოლენი“ მის მიერ „დაიწერნეს ლავრასა წმიდისა მამისა ხარიტონისსა“ (2). ხარიტონი იყო მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, რომელმაც პალესტინაში სამი მონასტერი ააშენა; ერთ მათგანს სახელად ერქვა სუკა ან „ძველი ლავრა“, ბერძენთა ნომენკლატურით Παλαιὰ λαύρα², ქართულად „პალავრა“. ეს იყო ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა³. სხვათა შორის 1040 წელს აქ გადაწერილი ყოფილა იოანე ოქროპირის „ცხოვრება“, რომელიც მ. ბროსეს ჯრუჭის მონასტერში უნახავს. ამ „ცხოვრებას“ ჰქონია ჩვენი საკითხისათვისაც მეტად საინტერესო „ანდერძი“: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყოფელსა წმიდისა მამისა ხარიტონისასა პალავრას, ძველსა მონასტერსა, კელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლისაჲთა ქორონიკონსა სჲ⁴, რაც 1040 წელს უდრის. ეგონებ, არ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს გრიგოლი სწორედ ის გრიგოლია, რომელსაც „დერთუფას“ მონასტრისათვის მაქარის „ეპისტოლენი“ გადაუწერია⁵. ამ წიგნის „ანდერძის“ სიტყვები „შევსწირენ საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა“, გვაჩვენებს, რომ დერთუფას სავანეში წიგნების კითხვა და ამ მიზნით მათი მოპოვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე ყოფილა აქ მობინადრე ქართველი ქალებისა.

* *

ასეთია მოკლე ცნობები კაპპათას, დელტავის და დერთუფას შესახებ. კაპპათა, როგორც თავის ადგილას აღენიშნეთ, დაარსებულია მეტერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ამავე საუკუნეში უნდა იყოს გაშენებული დანარჩენი ორიც, ყოველ შემთხვევაში

¹ არაბულად რომ „მონასტერს“ „دير“ ეწოდება, ამის შესახებ იხ. აკად. ნ. მარის — Плещение Персалима персамъ в 614 г., стр. 63, примеч. 1. პალესტინაში ეზღაც არის მონასტრები თუ ნამონასტრალი, რომელთა ორნაწილედ სახელში პირველი არის არაბული „დერ“ თუ „დერ“, მაგალითად: დერ-მუველი, დერ-სეინე, დერ-კელტ, დერ-დოსი (უკანასკნელის, „დერ-დოსი“-ს შესახებ იხ. ნ. მარი, Плещение, стр. 32). ცნობილია, რომ ქართულ გამოთქმაში უცხოური სახელები ხშირად მაზინჯდებოდნენ; ასე, მაგალითად, ტაბენესის დედათა მონასტერს ეგვიპტეში ნიშიმეს „ცხოვრების“ ქართულ თარგმანში ეწოდება მონასტერი არა მარტო „ტაბენესელთა“, არამედ — „ბენელთა“, „ტიბენელთა“ (კ. კეკელიძე, კიშენი I, 204, მისივე — Эпизод из начальной истории египетского монашества, Труды Киевской Академии 1911 г., фавраль-март, стр. 15).

² Акад. В. Г. Васильевский, Повесть Ешифания о Иерусалиме, Палестинский Сборник, т. IV, вып. 2, стр. 126—8; П. Салтаконевский, Древние палестинские обители, I, 21—30.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 94 (პირველი გამოცემა), 83 (მეორე გამოცემა).

⁴ თ. ჟორდანია, ქორონიკები I, 188.

⁵ იქნება „დერთუფა“ იყოს დამაზინჯებული „დეეთუბანი“? ჯუარის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია „მარინა დეეთუბნელი“ (№ 274); შეუძლებელი არაა, რომ ქართველებს პალესტინის ერთ-ერთი პუნქტისათვის ეწოდებინათ ქართული სახელი „დეეთუბანი“, თუ ეს უკანასკნელი მართლა ამ პუნქტის მონასტერს გულისხმობს.

„ღრთუფას“ შესახებ ეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ის „ანდერძი“, რომელიც მს იხსენიებს, მეთერთმეტე საუკუნეშია დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულად გაძლიერებამ და პროზორეს მიერ ჯვარის მონასტრის გაშენებამ მეთერთმეტე საუკუნეში წარმართა პალესტინისაკენ მამაკაცებთან ერთად მძლავრი ტალღა მოღვაწე ქალებისაც. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში ამ კერებში გაეცხოვრებული მუშაობა წარმოებს; არ შეწყვეტილა ეს მუშაობა არც მეცამეტე საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში მეცამეტე საუკუნიდან ვიცით, რომ ცოლი მუხა აბაშიძისა და ღდა ლუკა წამებულისა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, იერუსალიმისაკენ მიემართება და ერთ-ერთ ქართველ ქალთა საეანეში მოღვაწეობას იწყებს¹. ვიცით აგრეთვე ისიც, რომ აქვე საუკუნეში ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეას თავი შესწირა ერთმა უცნობმა ქართველმა ქალმა იერუსალიმში. სახელით სალომემ. ამის შესახებ იერუსალიმის ქართულ „სეინაქსარში“ ვკითხულობთ: „ამასვე დღესა (20 იელისს) წამებაჲ სალომე ქართველისაჲ, რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თავი წარეკუთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“². მეოთხმეტე საუკუნის დამდეგის შემდეგ ამ საეანეთა შესახებ ცნობები აღარ გვაქვს, ალბათ, თემურლენგის მიერ საქართველოს დარბევის შემდეგ მათ მოაკლდა სასიცოცხლო წყარო და არსებობა შესწყვიტეს. ეგრეთწოდებულს „ალორძინების“ ხანაში, განსაკუთრებით მეჩვიდმეტე საუკუნეში, კვლავ უჩენია თავი ქალთა სამოღვაწეო კოლონიას პალესტინაში. პროფ. ა. ცაგარლის ცნობით, აღნიშნულ ხანაში აქ ყოფილა რამდენიმე „დედათა“ მონასტერი: მირქმის, ნიკოლოზის, ბასილის, ეკატერინესი და ანასი³. შეიძლება, ყველა ეს არც ქალთა მონასტერი იყო და არც ქართველთა, ყოველ შემთხვევაში ერთი დოკუმენტიდან, რომელიც 1640—1642 წლებში უნდა იყოს დაწერილი, ჩვენ ვიცით რომ ამ დროს „წმიდა საფლავსა და სისხლ-მეწამულ გოლგოთაზე იდგა“ ან მოღვაწეობდა „მონაზონი მართა“, რომელიც, აღნიშნავს რა „ცრემლით მტირალი“ იერუსალიმის „წმიდა ადგილთა“ ხელიდან გამოცლას და მიტაცებას ბერძენთა, თრანგთა და სომეხთაგან, სთხოვს საქართველოს მესვეურთ „როგორმე უშველონ წამხდარ საქმეს, „სხვას ნუ უყურებთ, თავისის თეხით იარეთ, მოსკოვმა ვერა ქნა რაო“. არ შემიძლია in extenso ბინც არ მოვიყუანო ამ სამაგალითო პატრიოტის, დიპლომატის და მთლიანი საქართველოს იდეის მატარებელი ქალის დოკუმენტი: „ამისთანა რა გასაქირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოგხსენდებოდესთ, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის: ეს სოფელი და მერმეიცა... რა დიდი გაკირვება არის იმისთანა, რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? წამობრძანდით, ამათ (=აქაურებს) აღარ უნდათ ჩვენი კაცი |რომ იყოს|... საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ქამენ; რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრებისა?!... ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კედების, რომ აქ ერთი ტრაპეზის დასადები ადგილი იშონოს. და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა და ეხლა ლამის რომ სულა გამოვვარდეთ... ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს? ხუანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქვს. ბეთლემი თრანგმა აიღო.... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხუანთქართან, ისრევ მოგცემსთ. უსაცილოდ გოლგოთასაც და გესამანიასაც დაიჭირავს თრანგი, თუ არ მოეშველებით... ან ერისკაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავი ზღვით გამოგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტამბოლს

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 499, მეორე გამოცემა.

² Н. М а р р, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, стр. 68, №270.

³ Памятники грузин. старины. Палестинский Сборник, т. IV, вып. I, стр. 120—130.

მოვიდეს და იქიდალმა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არ იქნება, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქნება, სხვას ნუ უყურებთ, თავისი ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშს, ან იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით... მოსკოვმა ვერა ქნა რა... ეს უნდა დაუწეროთ ხუანტქარს წიგნში. რომ ანბანი მოვიდა, იერუსალიმი გაგიცემიათქო, ან დაგვათათრე, ან დაგვხოცე. და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვართვამთო!¹ ვფიქრობთ, მართა მარტო არ იქნებოდა აქ, მის გარშემო სხვა ქალებიც იქნებოდნენ. მართლაც, ჯუარის მონასტრის „ალაპებში“² მეჩვიდმეტე საუკუნეში ხშირადაა ლაპარაკი პალესტინის ქართველ „მამათა და დათა“ შესახებ (იხ. მაგალითისათვის, ალაპები № № 79, 84, 109, განსაკუთრებით გარსევან ჩოლოყაშვილის № 161), ეს „დანი“ ან „დედაბერნი“ (№ 112) უფრო „გოლგოთაზე“ არიან ამ დროს თავმოყრილნი.

როგორც ირკვევა, პალესტინის ქართველ „დედათა“ სავანეებში ისეთსავე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც მამათა მონასტერში: წიგნების კითხვა, შეკვეთა, გადაწერა, მოპოება, ბიბლიოთეკის შედგენა, მწიგნობართა კადრების მომზადება აქაც ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. „დედათა“ და „მამათა“ მონასტრებს ურთიერთობა ჰქონიათ წიგნების სარგებლობის ხაზითაც; დედათა სამონასტრო ბიბლიოთეკებიდან წიგნები საკითხავად და სასარგებლოდ მიჰქონდათ ხოლმე მამათა მონასტრებში, ანდა პირიქით მამათა მონასტრებიდან დედათა სავანეებში. ამ მხრივ საყურადღებოა კაპპათის ბიბლიოთეკის „მარხუანის“ ანდერძის (2) დასასრული: ტყვეობიდან გამოსული წიგნი უკანვე დავუბრუნე „მასვე მონასტერსა კაპპათისსა, რომლისაჲ პირველ ყოფილიყო. აწ გინა თუ კაპპათს შინა. გინა გარეთ სუტსა შინა, ანუ თუ ჯუარსავე შინა იყვენ, ვინცა მიემთხვნეთ და იმსახურებდეთ“. აქ „სუტად“ იგულისხმება ის სვეტი, რომელიც იმყოფებოდა პილატეს პრეტორიონის ადგილზე, ესე იგი -- იმავე კაპპათის გვერდით, და რომელზედაც, გარდამოცემით, მხედრებმა მიაბეს აქ მოყვანილი ქრისტე და მთარახნით სცემდნენ მას; ჩანს, ქართველი კოლონია ამ პუნქტშიაც ყოფილა. რაც შეეხება „ჯუარს“, ეს არის პროხორეს მიერ გაშენებული „ჯუარის მონასტერი“. მაშასადამე, კაპპათის ბიბლიოთეკის წიგნს ხმარობდნენ არა მარტო კაპპათაში, არამედ „სუეტშიაც“ და ჯუარის მონასტერშიაც. აქედან ირკვევა, რომ ქართველთა სამონასტრო კოლონიები პალესტინაში ერთი და იმავე ეროვნული გრძნობით ყოფილან გაქლენთილნი და შეკავშირებულნი, აქ, დაშორებულ აღმოსავლეთშიაც, ისინი ერთსა და იმავე კულტურულ საქმეს ემსახურებოდნენ თავისი სამშობლოს სასარგებლოდ.

* *

დღევანდელს ჩემს მოხსენებას უშუალო მიზნად ჰქონდა დასახული გაეცნო პატრიცემული აუდიტორიისათვის ერთი, დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი, კუთხე ჩვენს კულტურული ცხოვრებისა წარსულში. მაგრამ, ამასთან ერთად, იმაში მოცემული ფაქტებით მას შეუძლია ხელი შეუწყოს იმ მოძღვრების სიყალბის, სიცრუის და უნიადაგობის გამომჟღავნებას, რომელიც ასალ „სახარებად“ საღდება დასავლეთი-ევროპის ზოგიერთს ქვეყანაში და რომლის შემქმნელი გერმანული ფაშიზმია.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ გერმანელი ფაშისტები კაცობრიობას ორ ნაწილად ჰყოფენ; ერთია მაღალი, ნიჭიერი, ყოველივე დადებითი თვისებითა და ღირსებით შემკული

¹ საქართველოს სიძველენი, ტ I, წიგნი 1, გვ. 37—39, 1920. შეად. კ. ქეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში, ლიტერატურული მემკვიდრეობა I, 146.

² Н. Марр, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме.

ჩრდილი ან ინდოგერმანული რასა, რომლისათვის მსოფლიო ბატონობაა გამზადებული; ზორე კი არაარიული, უმთავრესად აღმოსავლეთის, ერები, რომელთაც, — ისიც არა ყველას, ჯამედ მხოლოდ იაპონელებს, — უკეთესს შემთხვევაში შეუძლიათ იყვნენ მატარებელი კულტურისა და არა შემქნელნი მისნი. ამ ერების დანიშნულება ისაა, რომ იყვნენ მხოლოდ ჟრმპკრილი მონა და განმაპოხიერებელი ნაკელი უმაღლესი რასისა. თვით ამ მაღალი რასის წარმომადგენელნიც ორ ბანაკად განიყოფებიან: ერთია მამაკაცები, სრული არსებათ, შემქნელნი და მესაქენი ცხოვრებისა, მეორე — დედაკაცები, არასრული ადამიანნი, რომელთაც, შემოქმედებითი უნარის უქონლობის გამო, საზოგადოებრივი ცხოვრების კაცები დასული უნდა ჰქონდეთ იქამდის, რომ მათთვის უმაღლესი განათლებაც კი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი; ქალთა არსებობას უნდა საზღვრავდეს და ამოსწურავდეს ახალი ტრიადა Kirche, Küche, Kinder. ამ სისულელესა და უთაებლო როშვას არ ამართლებს არც დღევანდელი დღე, არც ისტორია რომელიმე ერისა, კერძოდ ჩვენი ქვეყნისა.

მთელი ჩვენი წარსული მაჩვენებელია, პირველყოვლისა, იმისა, რომ ქართველები, რომელთაც ფაშისტები არიელობის დიპლომს ალბათ არ მოგვცემენ, მუდამ იყვნენ არამც თუ შემთვისებელნი სხვის მიერ შექმნილი მოწინავე კულტურისა, არამედ აქტიური შემოქმედნიც ასეთი კულტურისა. მეორე მხრით, ჩვენი ისტორია მაჩვენებელია იმისაც, რომ ჩვენში მოწინავე კულტურის ასპარეზზე მუშაობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ დედაკაცებიც.

საშუალო საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ-ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ქალი ბოროტ საწყისად იყო აღიარებული და მას, როგორც ასეთს, ხშირად ცეცხლის კოცონზე სწავდნენ, საქართველოში ნიკოლოზ გულაბრიძის მიერ ქალის „ღირსებისა და პატივის“ შესახებ ტრაქტატი იწერებოდა, ხოლო უკვდავი რუსთველის მიერ შემდეგი პოეტური აფორიზმი ითხზებოდა: „ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ქალს აქ არამც თუ მამაკაცის მსგავს არსებად აღიარებდნენ, უფრო მაღლაც კი აყენებდნენ შემდეგი სიტყვებით: „ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იძახის ყოველსავე ზედა ოთხფერქსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროდს მამლისა“ (ნინოს ბიოგრაფია). და ეს არ იყო ლიტონი მხოლოდ სიტყვა, ეს თამარის ბრწყინვალე მეფობით გამართლებული ფაქტი იყო, ეს გამართლებული იყო ქალების აქტიური მონაწილეობით კულტურისა და განათლების ისტორიაში. ცნობილი ფაქტია, რომ წერა-კითხვის ცოდნასა და პირველდაწყებითს, ასე ვთქვათ, განათლებას ჩვენში ქალების, უმთავრესად დედების, ხელმძღვანელობით იძენდნენ ხოლმე. არცერთი ასპარეზი კულტურული საქმიანობისა ქალისათვის ხელმიუწვდენელი არ ყოფილა ჩვენში. მართლაც, ჩვენმა წარსულმა ცოტა არ იცის ქალები პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი, ქალები პოეტ-ჰიმნოგრაფები, ქალები გადამწერ-კალიგრაფები, ქალები მთარგმნელები და ბიბლიოფილები. ყველასათვის ცნობილი ამბავია, რომ სამონასტრო ცენტრებში. რომელნიც იმდენად საკულტო დაწესებულებას არ წარმოადგენდნენ ჩვენში, რამდენადაც საკულტუროს, ქალებიც ისე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ, როგორც მამაკაცები. ვფიქრობ, ამას რამდენადმე მაინც დღევანდელი ჩემი მოხსენებაც დაგანახებდა თქვენ.